



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/5

„ 20 „ იანვარი 2014 წ.

გ ა ლ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

2014 წელს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სამედიცინო მომსახურების ვაუჩერის საშუალებით განხორციელების თაობაზე

საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევისა და მათი ხარისხიანი სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფის მიზნით, საერთო სასამართლოების მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული მიზნობრივი სახსრების გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 72-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის საფუძველზე:

ა) მოწონებულ იქნეს სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ინიციატივა რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეთა სამედიცინო მომსახურების ვაუჩერის საშუალებით განხორციელების თაობაზე;

ბ) საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა დაამტკიცოს ვაუჩერის პირობები (მათ შორის, ვაუჩერის მიმღები ორგანიზაციების ნების გამოხატვის, ვაუჩერის გაცემის წესები, სამედიცინო მომსახურებათა ნუსხა, ვაუჩერის ღირებულება, აგრეთვე ვაუჩერის გამოყენებასთან და ანაზღაურებასთან დაკავშირებული საკითხები და სხვა).

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი